№ 89 — ხუთშაბათი, 25 აპრილი 1896 — 1877—1896

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 89 — ხუთშაბათი, 25 აპრილი 1896

რედაქტ[illegible]

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ მოწყობილი გერმანულ კლუბის ბაღში გადადგა 5 მაისისათვის.

ვისაც ჰსურს შემოსწირონ ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში), ან ქნ. ოლღა თადეოზის ასულ ყიფიანისას. (ნიკოლოზის ქუჩა, სიონისის სახლი, № 21).

„ივერიის" რედაქციისაგან

მოგაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინონ ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. მიხელსონისა და მ-ნის ძ. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზისა, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

4 მაისს დანიშნულია **წიგნების გამომცემელ ქუთაისურ ამხანაგობის** საზოგადო კრება. რადგან პირველი კრება 24 თებერვალს არ შესდგა წევრების კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, ამიტომ 4 მაისისათვის დანიშნული კრება, თანახმად ამხანაგობის პირობის 15 მუხ., ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

На 4-ое Мая назначено общее собраніе членовъ Кут. Изд. Товарищества. Такъ, какъ первое собраніе, назначенное на 24-ое число прошлаго Февраля не состоялось, по не явкѣ достаточнаго числа членовъ, то Майское собраніе будетъ признано законнымъ, сколько бы ни явилось членовъ, согласно 15 ст. договора Товарищества. (3—6.—3)

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ 28 აპრილისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს: დავით ზაქარიას ძემ სარაჯიშვილმა ოცი ბოთლი ძვირფასი ლიქიორი; ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ [illegible] საყურეები ძვირფასის ვენეტიკურის მინანქრისა (მოზაიკა) ღირებული 200 მანეთად (ეს ფრიად ძვირფასი შემოწირულება ლატარია-ალეგრის ათი წლის არსებობის გამო); აბრეშუმის ქოლგა შირმის ტარით, მარაო შირმისა, ერთი ყვავილების გიდელი, ერთი ფინჯანი ძველი საქსონისა, ოთხი შევარა საწერი ქაღალდი, ორი ჩარჩო, ორი ტერმომეტრი, ორი ძვირფასი ბამბანერკა, ხავერდის ჩარჩო და ნაკერი სალფეტკი; ეკატერინე დიმიტრის ასულმა ოზეროვისამ: ხელოვნურად ნახატი მშვენიერი მარაო სურათებისათვის, აბაჟური და წიგნის ჩასანიშნი; ელენე იოსელიანისამ: ორი ვაზა და ერთი ჩარექა; კნიაჟნა მერი სვიმონის ასულმა წერეთლისამ: თავისის ხელით ნაკეთები ხელოვნური ფიალა; თამარ სოლომონის ასულმა ქართველიშვილისამ: ატლასზედ ნახატი ეკრანი, ატლასის ჩარჩო პორტრეტისათვის, ორი ნესესერი; მელანია გიორგის ასულმა წილოსანისამ: ხილის ვაზა, ბროლის გიდელა, ორი სამარილე, საწუმწუმე, ერთი ჭიქა, ფრიალა ფინჯანი; კნეინა არღუთინსკისამ ორი დასადგმელი ფრაჟესი, ორი სტაქნის ჩასადგმელი ფრაჟესი; ეკატერინე სულხანოვისამ: ვერცხლის ბროშკა, ორი ბროლის ვაზა, ერთი დუჟინი ხილის თეფში; მარიამ მიხეილის ასულმა ქართველიშვილისამ ერთი ვაზა და ყვავილების კონა; სოფიო მიხეილის ასულმა ჩხარტიშვილისამ: ორი ვაზა, ბროლის საწერელი და სამი საფერფლე; ალექსანდრე როინაშვილმა, ორმოცი ცალი სხვა-და-სხვა სურათები, ხუთი ბრასლეტი, სამი დუხი, ერთი ბროშკა, სამი ქოლგა და პორტმონე; ანნა გიოგის ასულმა კოლიევისამ, მცხეთის დედათა მონასტრის სკოლის [illegible] ხელოვნურად ნახატი ატლასზე პირსახოცების ჩასაწყობი; ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძემ: ოც-და-ხუთი მანეთი ხარჯისათვის.

ქულქჩმა პავლე ბეჟანის ძე ნიკოლოვმა ერთი ბაბორი და ქულქჩმა ნიკოლოზ კვეზერელმაც ერთი ბაბორი.

## ტფილისი, 25 აპრილი.

მკითხველთ უკვე ვაცნობეთ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წრევანდელს კრებას მეტად საყურადღებო საქმეები აქვს გასარჩევ-განსახილველი. გარდა ბანკის გამგეობის მოხსენებათა, კრებამ უნდა გაიცნოს სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ქაღალდები ბანკის საქმეთა შესახებ, უნდა განიხილოს აგრეთვე ბანკის საზოგადო კრებათა ორგანიზაციის შეცვლის პროექტები. ეს ისეთი საქმეებია, რომ ბანკის კრება რაც შეიძლება მეტის ყურადღებით, რაც შეიძლება მეტის სიფრთხილით უნდა მოეპყრას მათ. ამისთანა შემთხვევაში ბანკის კრებისთვის ყოველი წუთი ძვირფასი უნდა იყოს, ყველა იმას უნდა ცდილობდეს, რომ დრო საქმეს მოახმარონ, რომ თითოეული საგანი კარგათ და ფრთხილად აიწონ-დაიწონოს. აქ-კი რას ვხედავთ? საზოგადო კრების პირველი სამი დღე ისე გავიდა, რომ საქმეს სრულიად არ შეჰხებიან. ჩვენის ბანკის ვითომდა ოპოზიცია ისევ ძველებურის ხერხით იბრძვის, ისევ კვლავინდებურს გზას ადგია და უმნიშვნელო, უაზრო საკითხების აღძვრით, სიტყვების განუწყვეტელის რახა-რუხით მხოლოდ საქმეს აჭიანურებს.

აი ორი საბუთი, ორი საკითხი, რომელთ გარჩევას კრებამ მოანდომა პირველი სამი დღე თითქმის სრუ[illegible] და ოპოზიციამ: პირველი საკითხი შეეხებოდა... გაზეთებს და კრების ანგარიშებს, რომელთაც ისინი სტამბვენ. ვითომდა ოპოზიციამ წინადადება წარმოადგინა, რომ რადგანაც ტფილისის ყველა გაზეთებში ბანკის კრებათა ანგარიშები შეცდომებით იბეჭდებიან, რადგან მათ განგებ ამახინჯებენ, ამიტომ საჭიროა კონტროლი დავაწესოთო. ეს „ძველი ამბავია" მკითხველო! კარგა ხანია ტფილისის ბანკის ეგრედ წოდებულ ოპოზიციამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ტფილისის ყველა გაზეთები, რუსული თუ ქართული, მას ემტერება, რომ ეს გაზეთები სულ იმის ცდაში არიან, როგორმე დაამახინჯონ „ოპოზიციის" ბრწყინვალე აზრები და სასაცილოდ აიგდონ მისი სერიოზული კრიტიკა. კარგა ხანია გაიძახიან, მაგრამ მათ და საუბედუროთ ეს ბავშვებს თუ სჯერა, თორემ სხვას არავის; ცხადია, რომ ეს შემთხვევა კრილოვის იმ არაკს მოგვაგონებს, სადაც გმირმა სარკე დაამსხვრია, როდესაც თავისი უშნო და მახინჯი სახე დაინახა შიგ... რასაკვირველია კრებამ ყური არ ათხოვა უცნაურს წინადადებას, მაგრამ თითქმის ერთი სხდომა მაინც მისს განხილვას მოანდომა.

გაგიგონია, მკითხველო, ოდესმე, რომ არსებობდეს ქვეყანაზე ისეთი ოპოზიცია, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის ალაგმვას ცდილობდეს? პირიქით, ყველგან და ყოველთვის ოპოზიცია იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტად გამოაშკარავოს მოპირდაპირე დასის შეცდომები, რაც შეიძლება სავსებით ამცნოს საზოგადოებას თავისი აზრი და შეხედულებანი, რომ მით უფრო [illegible] მოიპოვოს. ჩვენი „ოპოზიცია"-კი გაზეთების ალაგმვას აპირებდა. ყველასათვის ცხადია, რატომ განსხვავდება ასე ჩვენი «ოპოზიცია» ნამდვილ ოპოზიციისაგან!..

მეორე საკითხიც ამაზე ნაკლებ უცნაური არ გახლდა. პეტერბურგიდამ მოვიდა ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ქაღალდები ტფ. ბანკის საქმეების შესახებ. ქაღალდები შეეხება ბანკის მდგომარეობას და გამოწვეულია შარშანდელის რევი-

## ფელეტონი

**წერილი ზემო-იმერეთიდამ.**

სანამ ცოცხალ არს ამა ქვეყნად ადამიანი,
ვერ იტყვის რომე: „ჩემთა ჭირთა ბოლო
ეს არი".
შექსპირი.

ბევრჯერ ამოგვიკითხავს გაზეთებიდამ შორაპნელების უბედურობის ამბავი, არა ერთხელ თანაგრძნობის ხმაც გვსმენია, მაგრამ ეს ნაწყვეტი ცნობები ნამდვილს ხალხის დაღუპვას მესხედადაც ვერ ახასიათებს: ზარალს, უკიდურესს მდგომარეობას' რომელშიაც ჯერ წყალდიდობამ ჩაგვყარა, მერე დიდმა ზამთარმა და მასთან თან მოყოლილმა თოვლის ზვავებმა—ენა ვერ გამოსთქვამს. ხალხური წყევლა: წინ წყალი უკან მეწყერიო, სწორედ ჩვენზედ ახდა წლეულს. თითქმის მაზრის ყოველ კუთხიდამ მოისმის ოხვრა და გმინვა: იქ სახლი წაართვა წყალმა, აქ ზვავმა დაიტანა, ადამიანი იმსხვერპლა, სარჩო-საბადებელი დაელუპათო. წყალდიდობამ რაც წაართვათ—ეს ნამდვილად ვიცით, ე. ი. 227,009 მან. ღირებული სახლი, წისქვილები, მამული და სხვ. მხოლოდ ნამდვილი ზარალი, რომელიც თოვლის ზვავებმა გამოიწვიეს, ჯერაც არ ვიცით, რადგან დიდის თოვლისა გამო გზები თითქმის შეკრულია.

საზოგადოდ, შორაპნის მაზრაში მცხოვრებნი მკვიდრნი, როგორც მცირედის ადგილ-მამულის პატრონნი, უფრო ხელ-მოკლენი არიან, ვიდრე შეძლებულნი. ერთად-ერთმა მათმა მრჩენელმა, მტერ-მოყვარის გამსტუმრებელმა, ნამუსის დამფარავმა, ვახშის გადამხდელმა—ღვინომაც უღალატათ: ფილოქსერამ და სხვა ამგვართა ჯერ საზოგადოდ მეოთხედზედ ჩამოიყვანა წლის მოსავალი და შარშან ხომ ზოგან სულ არა მოსულა-რა, ზოგან-კი—მეათედიც ძლივს ჩაიკვლივეს. ამგვარად თითქმის ბოლო ელება იმ ბურჯს, რაზედაც იყო დამყარებული მათი კეთილდღეობა. თუმცა სიმინდის მოსავალს წარსულს წელს არა უჭირდა-რა [1]) და ღვინოსაც რომ არ ეღალატნა ხალხისათვის, თავს გაიტანდა ახალ მოსავლამდე. მაგრამ რაკი ღვინო სულ არ მოვიდა, ყოველისავე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ვალისა და ვახშის გასტუმრება, ძალა-უნებურად სიმინდსა ჰხვდა წილად...

ვსთქვათ, ესეც არაფერი, ჯერჯერობით მაინც ეყოფოდათ, მაგრამ აქაც „ქვა აღმართში მოეწიათ": წყალ-დიდობამ, რაც მაზრაში წისქვილები იყო, თითქმის სულ წარიყა, დარჩა ხალხი თვალ-ნაცრიანი. ამ მომაოხრებელს წყალდიდობას მარტო რომ ეს ეკმარებინა, ხალხი, როგორც იქნებოდა, კიდევ თავს უშველიდა: თუ სიმინდს ვერსად დაფქვავდა, გარედ გავიდოდა სამუშაოდ—თავად, ცხენით, ურმით და შეძენილის ფულით ბაზარში მაინც იყიდდა გამომცხვარს... ბედმა აქაც სარმა წამოჰკრა: წისქვილებთან ერთად ნიაღვარმა გზებიც წაახდინა. შესწყვიტა მიმოსვლა მაზრაში და სამუშაოდ გამზადებულნი გლეხნი შინ დაემწყვდნენ. ასეთს მდგომარეობაში იყვნენ დეკემბრის ნახევრამდე. როგორც იქნა, გზებს—მაზრის ზოგს ნაწილში—ეშველა, გაიხსნა; ხალხი წელში გაიმართა, ჰფიქრობდა ჩვენსკენაც გადმოიხედაო ღმერთმა, მაგრამ დადგა ახალი წელი და მოულოცა ხალხს ახალი ტანჯვა და ოხვრა. 4 იანვრიდამ დაიწყო თოვლა და თხუთმეტამდე ხამუშხამუშად, „ხათრიანად" მოდიოდა, ამ დღეს-კი დაიწყო „ბარდნვა" და 26-დე არ შეწყვეტილა... გადიღო, მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს. ერთს საჟენზე ნაკლები თოვლი არსად იყო, $4\frac{1}{2}$—5 და 6 არშინზე-კი თითქმის ყოველგან. სულ დაიძლდა ხალხი. თუ წელანა ვსთქვი, წყალ-დიდობის მეოხებით ხალხი შინ დაემწყვდა-მეთქი, ეხლა ამას ვეღარ ვიტყვი—დაპატიმრდა ყველა. მეზობლობა მეზობლისა არა [illegible] რა. აწ-კი [illegible] ყოველ წამს სახლებს [illegible] რომ, ვინ იცის, უფრო მეტად არ გაეზარა ღმერთს იგინი...

ბევრი მწარე ფიქრი იშვა და დაძნელდა. ყვედრება, ხვეწნა, სასოება, იმედი, სასოწარკვეთილება ერთი მეორეს სცვლიდა, ერთი მეორეს სჯობნიდა და ზოგან-კი სულ ერთმანეთში იყვნენ არეულნი. უმრავლესობისათვის არც სადმე შეშა იყო, არც დაფქული და არც ნამცხვარი; იყვნენ ასე ღვთის ამარად. ვისაც-კი შერჩა, მოხარშულის სიმინდით იკვებებოდნენ. ხალხი სულგრძელია, ადვილად ვერ გასწირავს თავს, იმედს. შეიძლება შედრკეს იგი, მაგრამ არ იფიქროთ, რომ დაემხოს. „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო"—სამართლიანად ხალხის დევიზად უნდა ჩაითვალოს. უკიდურებამდის მიღწეული, სრულიად დარწმუნებულა იგი, რომ ყოვლად სახიერო მრავალ-მოწყალე, რომლის წინაშეც ტანჯვით შეისყიდეს თვისი ცოდვა, არ გასწირავს მათ. ხალხი [illegible]

[1]) კარგის მოსავლის დროსაც-კი შორაპნის მაზრა სიმინდს ვერ გაჰყიდის საზღვარგარეთ, როგორც ჰყიდიან ოზურგეთისა, სენაკისა და სხვ. მაზრები, რადგან თითონ- [illegible]

ზიით. ეს ქაღალდები გამოცხადებულ რიგისამებრ უნდა მოხსენებოდა კრებას მორიგ საქმეების გარჩევის შემდეგ. „ოპპოზიციამ“ მოითხოვა—ქაღალდები მორიგ საქმეთა განხილვამდე წავიკითხოთო. კარგი და პატიოსანი: არც ამის წინააღმდეგი აღმოჩნდა ვინმე. მაშინ „ოპპოზიციამ“ გამოაცხადა—ქაღალდების განხილვაში ნუ შევალთ, მათ შესახებ სჯა და ბაასი ჯერ ნუ გვექნებაო, ისე წავიკითხოთ და მაშინვე მორიგ საქმეების განხილვას შევუდგეთო. მიუხედავად იმისა, რომ კრების უმეტესი ნაწილი სამართლიანად ამბობდა, „ქაღალდები“ ბანკის რთულ საგნებს ეხებიან და თუ კამათობაში არ გამოვარკვიეთ, განვმარტეთ, ისე ვერას გავიგებთო, „ოპპოზიციის“ მეთაურები მაინც გაიძახოდენ, ახსნა და განმარტება საჭირო არ არისო! გაგიგონია, მკითხველო, ოდესმე, რომ არსებობდეს ქვეყანაზე ისეთი ოპოზიცია, რომელსაც სჯისა და განმარტების ეშინია? ყველასათვის ცხადია, რატომ განსხვავდება ასე ჩვენი „ოპპოზიცია“ ნამდვილ ოპპოზიციისაგან!...

ლალი.

---

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, 25 აპრილს, იწყება სხდომები ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებისა. კრებას, სხვათა შორის, მოხსენდება ქალების სკოლისა და სამეურნეო სასწ-ავლებლის პროექტები.

*** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ ნოვოროსსიისკის მიდამოებში სახელმწიფო მიწები დაურიგდეს კერძო პირებს.

*** ჩვენ მივიღეთ ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობისაგან კრწანისის ველზე ასის წლის მოსაგონებელ წირვა-პანაშვიდის დროს გადაღებული სურათები, რომელიც ხელოსანთა ამხანაგობას თავისის ხარჯით გადაუღებინებია. სურათები მშვენიერად არის გადახატული; ერთი წარმოადგენს ეკკლესიასთან შეკრებილს ხალხს და მეორე თვით იმ ადგილს, სადაც ასის წლის წინად ომი ჰქონდა მეფე ერეკლე მეორეს. სურათებს ქვემოდ რამდენიმე ხანაა აკაკის ლექსიდამ მოყვანილი. თითოეული სურათი ღირს ათ შაურად, რომლის შემოსულ ფულიდგან 20 % თვით ირაკლის სახელზე დაარსებული ფონდისათვის იქმნება გადადებული ხელოსანთა სურვილით.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „ცხოვრება ღირსისა დედისა ჩვენისა პელაგიასი“, წყალ-წმიდის ძმობის გამოცემა. წიგნი შეიცავს 16 გვერდს და ღირს 3 კაპ.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიის გამმიჯვნელ განყოფილების მიწის მზომავები მომავალ კვირას ქუთაისის გუბერნიასა და დაღესტნისა და ყარსის ოლქაში მიდიან მიწების გასამიჯნავად. („ნ. ობ.“)

*** ქუთაისის გუბერნიის მთავრობას უმაღლესს მთავრობასთან წარუდგენია ახალი პროექტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებანი უნდა იხმარონ რომ სუხუმის ოლქში ცხენებისა და საზოგადოდ საქონლის მოპარვა მოსპონ („ნოვ. რბოზ.“).

*** ეს ორი წელიწადია, რაც ქუთაისში ქალაქის ექიმი მარკ ლეონის ძე სეგალი ერთს ფრიად სამადლო საქმეს ჰმოთავეობს: აღდგომის წინა-დღეებში აგროვებს ვაჭრებში და სხვათა მცხოვრებელთა შორის სანოვაგეს: პურს, ღვინოს, პასქას, ღორის ხორცს, კვერცხს და აღდგომის პირველ ორს დღეს პირს ახსნილებინებს ორას-სამასობით ქუთათურ უსინათლოს, კუტს, მათხოვრიბსა და სხვა [illegible] ღარიბებს და შემდეგ შინაც ატანს. ქუთაისში დღეს მათხოვარს ვერ ნახავთ, რომ სეგალს არა ლოცავდეს.

*** სოხუმი: ხუთშაბათს, 11 აპრილს, ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთაგან, ქალაქის კლუბის დარბაზში წარმოდგენილ იქმნა ვოდევილები: „მონადირე“ და „რაც არ მერგება არ შემერგება“, ვ. გუნიასი და „პრიკაშჩიკი შკაფში“, ა. ცაგარლისა. საზოგადოება ბლომად დაესწრო ამ წარმოდგენას და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა. შემოსავალი დანიშნულია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ესევე სცენის მოყვარენი ახლა წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ აპირებენ წარმოდგენის გამართვას. იმედი გვაქვს სოხუმის საზოგადოება გულ-წრფელს თანაგრძნობას აღმოუჩენს დღეს უკიდურესს გაჭირვებაში ჩავარდნილს მათს მოძმეებს, რომელთაც გარდა სულისა და ხორცისა ყველაფერი მოსტაცა ადიდებულმა წყალმა.

*** დ. ხონი: 1896 წლიდამ აქაურ სამასწავლებლო სემინარიაში უსასყიდლოდ ასწავლიან ყოველ კვირაობით, ვინც-კი ისურვებს, რუსულს წერა-კითხვას და ანგარიშს. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება ვინმე მადლიანი და გულ-შემატკივარი ჩვენ ქართველთათვისაც გამოჩნდებოდეს, საკვირაო სკოლას გამართავდეს და ასწავლიდეს ქართულს წერა-კითხვას, რომელსაც ეხლა ამ სკოლაში არ ასწავლიან.

წრევანდელმა წელმა სწორედ ნამეტნავად დაჩაგრა ყველა მუშა-კაცი. აპრილმა ოთხი-ხუთი დღე სწორედ სასიამოვნო დარებით გაატარა, მაგრამ ახლა-კი გვიმტყუნა და დღეში ორჯელ-სამჯერ იცვლება ჰაერი; უფრო ხშირად სწვიმს მოხუცი მუშა-კაცები ამბობენ, ასეთი ცუდი ტაროსები კაი ხანია არ გვახსოვსო. წარსულს წელში ამ დროს ბევრი კიდეც სთესავდა ყანას, წელს-კი დამუშავებულიც არავისა აქვს.

*** სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა): 16 ამ თვეს ჩხალის ხეობაში, სოფ. მამანათს, ჩხუბი მოუხდათ ორ [illegible] ძმას: ჩხუბის დროს რევოლვერით დასჭრეს ორი ქალი და ერთიც კაცი. აი საქმე როგორ ყოფილა: ერთი ძმის საქონელი მეორე ძმის ყანაში შესულა; ამის გამო მოსვლიათ ჩხუბი და ერთის ძმის შვილს უძვრია რევოლვერი და დაუცია ბიძისათვის, ბიცოლასათვის და მათი ქალისათვის. ორივე ქალებს გულში ჰქონიათ ტყვია მოხვედრილი და ტანშივე დარჩენილი, რის გამოც მორჩენის იმედი არა აქვთ თურმე, თვითონ კაცს მკლავში მოჰხვედრია და საშიშიც არ არისო. დამნაშავე ამ ჟამად გაქცეულია და მთავრობა დაეძებს. მკვლელს შარშან მამისათვის უსროლია თოფი, მაგრამ ვერ მოურტყამს. როგორც ეს ამტკიცებს, იგი სულით ავადმყოფი უნდა იყოს.

*** სამშაბათს, 23 აპრილს, უბედური შემთხვევა მომხდარა ლისის ტბაზედ. ნასადილევს ორი ყმაწვილი ტფილისის კადეტთა კორპუსის მეხუთე კლასის მოსწავლენი, სტანისლავ ტიშეცკი და გოროხი, გასულან ქალაქს გარედ, ახლო მიდამოებში სასეირნოდ; ლისის ტბაზედ რომ მისულან, ნაშუადღევის ოთხს საათზედ ტიშეცკის ბანაობა მოუნდომებია და ჩასულა კიდეც ტბაში, მაგრამ უეცრივ დიდ ადგილას მოხვედრილა, ჩალაში და ძირ-ძირ წასულა, მის ამხანაგს გოროხს ცურვა არ სცოდნია და შველაც ვერ აღმოუჩენია, სხვა გარეშეც არავინ დასწრებია ამ დროს, რომ მიშველებოდა, ამგვარად საბრალო ყმაწვილი ჩანთქა ლისის ტბამ.

გოროხი გამოქცეულა და უცნობებია კადეტთა კორპუსის უფროსისათვის, რომელსაც საჩქაროდ გაეგზავნა ინსპექტორი კლასებისა. საჩქაროდვე მივიდა ლისის ტბაზედ უფროსი თანაშემწე ტფილისის მაზრის უფროსისა ბ-ნი კოტოვიჩი, ბევრი ეძიეს საბრალო ტიშეცკი, მაგრამ სამშაბათს ვერ იპოვეს, ხოლო გუშინ დილით ამოიღეს გვამი, ჩამოიტანეს ქალაქში და ჩააბარეს კორპუსის მთავრობას.

*** გუშინ დილით კავკავის გზით გაემგზავრენ მოსკოვს ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად სხვა-და-სხვა მაზრებიდამ [illegible] მამასახლისები.

---

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. ბორჩხა,** (ჭოროხის ხეობა). ძნელი სათქმელი და წარმოსადგენია ადამიანისათვის ის გაჭირვება, რომელიც აჭარულებმა გამოიარეს ამ ზამთარს. არ დარჩენილა დიდი და პატარა, აღა და ეფენდი, რომ ამ უხსოვარ ზამთრისაგან ზიანი რამ არ მისცემოდეთ. ყველაზედ უფრო საგრძნობელი და სამძიმო ის არის ფუხრებისთვის, რომ ერთად-ერთი სარჩო სათესლე ხელიდან გამოეცალათ და მალე ერთის კვირის სამუშაო სათესლე არ შერჩენიათ. ფუხრის სახარულს საზღვარი არა აქვს, თუ სანახ-სათესი მიწა საკმაოდ აქვს, ამანდაც ხელს უწყობს და ჭირნახულიც სამყოფი მოსდით. როგორც ვიცით, სანამდის გადასახლების კადა ჰქონდათ აჭარულებს ოსმალეთში, იმ კადის განმავლობაში თითქმის ნახევარზე მეტი ნაწილი კიდეგაც გადასახლდა და იმათი ადგილ-მამული დარჩათ მათ, ვინც აქ მამა-პაპეულ მამულზე დარჩა. ასე და ამნაირად აჭარობაში იმისთანა მოსახლეც ძნელად შეხვდებით, რომელსაც 2—5-მდის გადასახლებულ ოჯახის მამული არ დარჩენოდეს და მათი მამულით არ სარგებლობდეს. მაგრამ რაა? ამ გარემოებაშიაც-კი, როდესაც იმდენი მაჰაჯირების მამულები ხელში აქვთ, სამყოფი ჭირნახული არ მოსდით, რომ ნახევარ წლამდის მაინც გაჰყვეთ ნამუშავარი... პირველი მიზეზი ამისა ის არის, რომ აქეთ ერთობ ქვა-კლდიანი ადგილებია სათესი და ერთს კვირას რომ წვიმს არ ნახოს ნადგამს, სიცხისაგან იწვის. მეორე მიზეზად-კი ის უნდა ჩაითვალოს, რომ აჭარი ქართველი მაჰმადიანები ხელ გამოღებული მუშები ვერ არიან და ქალების (აქეთ ქალები მეტს მუშაობენ) ნახნავ-ნათესს თუ ნახევარ წლის სამყოფი მოაქვს, ესეც კარგია. სხვა პირობებში იქნება გასასყიდიც მორჩენოდათ, მაგრამ საქმე ის არის და სამწუხაროც, რომ აჭარი მამაკაცები უფრო ყავახანებში აღამებენ დღეს და ყანა-ბოსტნის მოვლის დარდით თავს არ იწუხებენ.

წელს-კი ამ საზარმაცეს დიდი ზამთარიც ზედ დაერთო და თითქმის ნახევარზე მეტს მცხოვრებლებს, სადაც კარგი სათესლე ებადათ, მთის ფერდობზე გაკეთებული, ზვავმა ჩამოურეცხა და ამ რიგად ფუხარა ცარიელზედ დარჩა.

ძალიან იშვიათია აჭარობაში იმისთანა მოსახლის პოვნა, რომელსაც ამ ზამთარს გამო ზარალი არ მისცემოდეს სათესლების წართმევით, თუ საქონლის დახოცვით. ვისაც წვრილ-ფეხი საქონელი ჰყავდათ, იმათ ხომ მესამედი ნაწილი არ შერჩენიათ შიმშილისა და სიცივის გამო.

აჭარულებს დიდი იმედი ჰქონდათ კა-

---

მერმისის მოლოდინი ასულდგმულებს ხალხს.

მაგრამ, ეჰა, აქაც არ შეიწირა მათი ლაღადი, მათი გულ-წრფელი ცრემლი! ნაცვლად სიხარულისა და შვებისა, ჯოჯოხეთის ალში დაიწვნენ. წამოვიდა მთებიდამ თოვლის ზვავი და ბევრი მათგანი უფრო გააუბედურა. თუ აქამომდე სარჩო-საბადებლის აოხრებისა გამო სტკიოდათ გული, ეხლა ამას დაერთო საყვარელ ცოლ-შვილის დაკარგვა. თუმცა მოძმის უბედურება ბევრს არად მიაჩნია, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ თუ რამდენად თავზარ-დამცემი იყო ის სურათი, როდესაც სოფ. შრომაში, ზვავის ქვეშ მოყოლილთაგანი, ამოსთხარეს მკვდრები: გლეხი ალექსი პაატას ძე, თაბაგარი და ცოლი მისი ანნა თავისს პაწია სამის წლის შვილთან ჩახვეული. დამსწრენი ამბობენ, მათი მნახავი ქვაც-კი ატირდებოდაო. გარდა ამ საცოდავებისა 24 იანვრის ზვავმა ს. შრომაში იმსხვერპლა: გლეხნი მამუკა თაბაგარი, 68 წლისა, თადეოზ მამუკას ძე თაბაგარი, 26 წ., ცოლი მისი ტერეზია, 25 წ., შვილი მათი იონა, 2 წლისა დ ელიზბარ და სოლომონ თაბაგრები, ე. ი. სულ რვა სული და ხუთი კომლი მიწასთან გაასწორა: აღარც სახლი შეარჩინა, არც საქონელი, არც სარჩო და 14—15 სული დაობლა ზოგი მამით, ზოგი დედით და ზოგი შვილებით... გარდა ამისა ს. კვალითშიაც ორი ოჯახი გაანადგურა და ორი სული გამოათხოვა წუთი სოფელს: საბრალო მოხუცებული გლეხის ფარსადან ხუსკივაძის დედა-ანნა და გიორგი ხუსკივაძის ცოლი ელისაბედი. დაზიანებულთა სახლობიდამ გადარჩენილთ დროზე მიეშველა ადგილობრივი ადმინისტრაცია: გარდა იმისა, რომ მეზობლებში დაახიზნა, ლუკმითაც უზრუნველ-ჰყო... დროზედ ნათქვამს სიტყვას, ზნეობრივს გავლენას, მოგეხსენებათ, ბევრი რამ შეუძლიან... მაგრამ, აბა იფიქრეთ კარგს დროსაც დიდხანს სტუმრობა ვერაფერია... ეხლა ხომ, საზოგადო უბედურების დროს, როდესაც მასპინძელი სტუმარზედ უარესს დღეშია, მით უფრო: სტუმარი ჰგრძნობს, რომ მასპინძელს მისთვის არა ჰშურსრა, თითონ იკლებს და უკანასკნელს ლუკმას მას უზიარებს და ეს უფრო სტანჯავს, რად გახდა სხვის ბარგათ...

ამგვარს მდგომარეობას ხალხისას, როგორც მოსალოდნელიც იყო, ჯეროვანი ყურადღება მიექცა საგუბერნიო მმართველობისაგან. სხვა საშუალებებთან ერთად, რომელთაც აზრადა აქვთ გაჭირვებულთ დახმარება, მათი ფეხზე წამოყენება, მაგალითად: ხანგრძლივის სესხის გაცემა, ფულით შემწეობა, გარდასახადის განაწილება, სათესლედ სიმინდისა და პურის სესხება, სახელმწიფო ტყიდამ ხე-ტყის მასალის მიცემა დანგრეულ სახლების ასაშენებლად, ბ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით [2]) დ. ყვირილაში დაარსდა ადგილობრივი კომიტეტი, [3]) რომელსაც მიენდო შეკრება შეწირულებათა—ფულად, ტანთსაცმლითა და სარჩოთი: პურით, სიმინდითა და სხვ. და განაწილება შემოსულის ფულისა, როგორც შეძლებულ მაზრის მცხოვრებთაგან, აგრეთვე სხვა ადგილებიდამ გამოგზავნილისაც იმ დაზარალებულთა შორის, რომელნიც უსახლკარობით, შეშა-საკვების შემოლევით ამ უბედურს ზამთარში სრულიად უნუგეშოდ დარჩნენ. საძირკველი ამ კომიტეტს თვით ბ. გუბერნატორმავე დაუდვა: აღუთქვა და ამ დღეებში გამოუგზავნის კიდეც 400 მანეთს.

დროზედ მიწვდილი ლუკმა სიცოცხლედ ღირს, დროზედ გამოღებული გროში თუმანს უდრის და ეს დროც ეხლაა. კომიტეტმა 17 თებერვლიდამ უკვე დაიწყო თავისი მოქმედება და გულ-მხურვალედაც შეუდგა საქმეს. ღმერთი იყვეს მათი შემწე ამ ფრიად კეთილსა და საჭირო საქმეში. მე მგონია ყველა, ვისაც-კი გულისა ოდნავ ატყვია რამე, ვინც არ დამახინჯებულა იქამდე, რომ ცხოვრებაში მხოლოდ თავისი „კუჭის მრწამსი“ ეღიარებინოს სათაყვანოდ, ვისაც მოყვასის ტანჯვა ჩირად არ მიაჩნია, ვისაც მოძღვრება ჩვენთვის ჯვარცმულისა ჯერ ისევ მტკიცედა აქვს გულში დამარხული—თავისს წვლილს არ დაიშურებს და მით ერთს დღეს მაინც გამოჰკვებს ერთს დაზარალებულთაგანს, ერთ წამს მაინც მოსწმენდს ცრემლს გაჭირვებულს მდგომარეობაში მყოფს თავისს მოძმეს.

რითაც-კი შეიძლება ჩქარა უნდა დავეხმაროთ დაზარალებულთ, ესე იგი ეხლავე, სანამ გზები შეკრულია და ხალხი გაცივებულს კერას ვერ მოსცილებია, თორემ შემდეგ, რაკი გზები გაიხსნება, აღარა უჭირთ-რა: შორაპნელნი მხნენი არიან, თავს დაირჩენენ. ყველანი მოვალენი ვართ დღევანდელი ტანჯვა, უფრო უსახლობით და უსარჩოობით, როგორც იქნება შევუმსუბუქოთ ხალხს. ამისთვის საჭიროა, ვისაც-რა გვაქვს შეკრებილი, საჩქაროდ მივაწოდოთ კომიტეტს, რომელმაც ყველას გაჭირვება კარგა უწყის და უმალვე გაუნაწილებს დაზარალებულთ. იმედი მაქვს ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები, რასაკვირველია, რუსულიც უყურადღებოდ არ დასტოვებენ კომიტეტის არსებობას დ. ყვირილაში და ამ ამბავს თავიანთ გამოცემებში გამოაქვეყნებენ.

თანამგრძნობელი.

—

2) მოწერილობა 9 თებერვლიდამ № 563.

3) თავმჯდომარეა მაზრის უფროსი სტ. სოვ. ლ. ტ. ჯაყელია და წევრებად შორაპნის მარშალი მ. ზ. აბაშიძე, დეკანოზი დ. ღამბაშიძე და მომრიგებელი შუამავალი თ. ლ. თ. დიდიშკელიანი.

კახარის საყანეებისა, სადაც ბლომად მოდიოდა სიმინდი და აიფადაც მოუ-ლობდნენ, მაგრამ კახარის საყანეებსაც სადაც არის ბოლოს მოუღებს ჭოროხი და მთლად წანაშავს. ყოველს ეჭვს გარეშე, მთელს კახარის მინდორს ძვას შეუერთებს ჭოროხის მდინარე, და ამ ორ წელიწადში რაიმე საშუალება არ იხმარეს მის წინააღმდეგ.

ერთი ბედნიერება ფუხრებისა ის არის, რომ სახელმწიფო გადასახადი ბევრი არ ადევთ და მამულის რაოდენობისა და სხვა შემოსავლის მიხედვით აწერენ თვითეულს კომლს სოფლის მეხარი მეჯლისი და იმამი. არც მამასახლისისა და მწერლის ჯამაგირის გადასახადი აწუხებს ფუხარს, რადგანაც უჯამაგიროთ უნდა ემსახურონ სოფელს. მწერლის მოვალეობას ასრულებს მეჩეთის იმამი (ხოჯა), რომელსაც წლიური ჯამაგირი ეძლევა და ისიც ძალიან ცოტა. დიდი ღვთის წყალობა ენება მოლასათვის, რომელსაც ას კომლზე მეტი მრევლი ჰყავს, წელიწადში ელოდეს ას მანეთზე მეტი და იმასაც ნახევარი ფულად არ იხდის: აძლევენ სიმინდს, ლობიოს, კაკალს, ერბოს და ყველს, ვისაც როგორ შეუძლიან და შერჩება. ამ შემთხვევაში ხოჯები ძალიან კარგად იქცევიან, თავისს დღეში არ ეტყვის იგი თავისს მრევლს, რომ მინდა თუ არა ფულები დამითვალეო, როგორც ეს სხვა სარწმუნოების სამღვდელოებაში ხდება ხოლმე ხშირად. ძალით რისიმე წართმევა, საზოგადოდ დიდ ცოდვათ მაიჩნიათ მოლლებს. სამწუხაროდ აქ ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოლლას ძალიან იშვიათად შეხვდებით და თუ არიან, ისინიც ღრმად უსწავლელები. აქედამ ახში ორი ახალგაზრდა იქნება წავიდეს სტამბოლში სასწავლებლად, მაგრამ ისინიც იქვე რჩებიან და არ უნდათ თავიანთს სამშობლოში დაბრუნება. ამ რიგად ოცის წლის შემდეგ ადგილობრივი მოლა სანთლით საძებნელი გახდება.

ი. ჯაიანი.

## ლიტერატურული და მუსიკალური დილა სათავად-აზნაურო სკოლაში.

გუშინ-წინ, 23 აპრილს, ტფილისის საზოგადოებამ გამოსცადა არა ჩვეულებრივი სიამოვნება სათავად-აზნაურო სკოლაში გამართულის კონცერტით. თავისის თვალით ნახა საზოგადოებამ, რომ მისს შრომას და ხარჯს ამ სკოლაზედ დიდი ნაყოფი მოაქვს, და ისიც, რომ თურმე ჩვენის საქმეების მოწყობა ჩვენც შეგვძლებია რიგიანადა და კარგად.

ბავშვების კითხვამ ცხადად დაანახა ყველას, რომ კარგად აქვთ შეგნებული, რასაც სწავლობენ, აქვთ მშვენიერი გამოთქმა ქართულად და რუსულადაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია ქართველისათვის. ყველა მოწაფეები (ბარცხილაძე, მაჩაბელი, თოხაძე, თაქთაქიშვილი, ვაჩნაძე, ჯანდიერი, ნათაძე, ჯავახიშვილი, ჯავრიშვილი, ჩოლოყაშვილი, აბაზაძე, ნატოლიშვილი) მშვენივრად კითხულობდნენ, შეგნებულად, გარკვევით და გრძნობით და იწვევდნენ საზოგადოების აღტაცებულს ტაშის ცემას. მშვენივრად აღასრულა ხორომ ზოგიერთი სიმღერა. კარგად დაუკრა ორკესტრმა მარში და ღმერთო ფარედ მეფესა. დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სკოლას საკუთარი ორკესტრი ჰყავს და მადლობა უნდა უთხრათ ამ საქმის დამწყებს სკოლაში ბ. გარსევანიშვილს. შემდეგ გამართული იყო გიმნასტიკა, რომელშიაც თავი იჩინეს: სარაჯიშვილმა, ჯანდიერმა, კვაჰაშვილმა და ყარალაშვილმა. დიდის მადლობის ღირსია პოლკოვნიკი გედევანიშვილი, რომელსაც ასე ჩინებულად შეუსწავლებია გიმნასტიკა ყმაწვილებისათვის საზოგადოდ მთელს მმართველობას სკოლისას და კერძოდ მასწავლებლებს ეკუთვნის მადლობა და გამარჯვების სურვილი.

## ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

24 აპრილი.

სხდომა გაიხსნა $10\frac{1}{2}$ საათზედ.

თავმჯდომარე კრებისა დ. ივ. მუსხელაშვილი. რადგანაც კანონიერი რიცხვი წევრთა გამოცხადდა, სხდომას ვიწყებ. პირველად წაგიკითხავთ ოქმს წარსულის კრებისას და ვითხოვ, ვისაც რა შენიშვნა ექმნეს, განაცხადოს (კითხულობენ ოქმს).

თ. ალ. ჩოლოყაშვილი. ჩემი სიტყვები, რომელთაც ეხლა მოგახსენებთ, შეეხება თ. ორბელიანის სიტყვებს, რომელსაც განუცხადებია, რომ ჩვენი ბანკი „უფსკრულის ნაპირზედ არისო, ეს მოყვანილია სწორედ ამგვარად გაზეთებშიაც. მე ვითხოვ, რომ თ. ორბელიანმა ეს სიტყვები უკანვე წაიღოს (ხმაურობა).

თავმჯდ. ეგ არ შეეხება ოქმსა და თუ რაიმე სხვა გაქვთ სათქმელი, შემდეგ შეგიძლიანთ სთქვათ, როცა რიგი მოგიწევთ (ხმაურობაა).

ალ. ჩოლოყაშვილი. არავის არა აქვს ნება აღმიკრძალოს სიტყვა, მეტადრე მაშინ, როცა ეს საქმეს შეეხება და გარემოება მოითხოვს და ამისათვის ვითხოვ, რომ მომეცეს მე დღეს დრო, რიგი, განვაცხადო პროტესტი ორბელიანის ასეთის განცხადების წინააღმდეგ.

თავმჯდ. თქვენი პროტესტი ოქმში იქნება შეტანილი.

დ. კეზელი. თქვენო აღმატებულებავ, ოქმის წინააღმდეგ არა მაქვსრა სათქმელი, მე უნდა შემოვიტანო წინადადება, რომელიც შეეხება კრებების წესსა და საქმეების წარმოებას. წევრი ზედამხედველის კომიტეტისა ალ. ჩოლოყაშვილი უნდა იჯდეს იქ, სადაც სხვები სხედან მისი ამხანაგები და არა აქ, ხალხში.

თავმჯდ. ბ. ალ. ჩოლოყაშვილო, თქვენი ადგილი, როგორც ზედამხედველის კომიტეტის წევრისა სწორედ აქ არის. (ხმაურობაა და დრტვინვა).

თ. ივ. მაჩაბელი. მე ვითხოვე ჩემის შეუწყნარებლობის ოქმის წაკითხვის შემდეგ, რომ შეეტანათ, სხდომის ოქმში შემდეგი: შავი ზემო აღნიშნულის ოქმისა შესდგება სამის მთელის ფურცლისა და ორის ნახევარის ფურცლისაგან; გარდა ამისა ვითხოვე აღენიშნათ, რომ არც პირველზე, არც მესამეზე, არც მეოთხეზე და არც მეხუთეზე არ არის ჩემის ხელით რაიმე გასწორება, მხოლოდ მეორე ფურცელზედ არის ზოგიერთი გასწორება. გარდა ამისა პირველი ფურცელი ისე თავდება, რომ ექვსი სტრიქონი კიდევ დაეტევა და ბოლოვდება ამგვარად: „мотивированныя“ და მეორე ფურცელზე-კი ასეა გადატანილი: „тированныя“.

თ. ნ. ორბელიანი. აქ თ. ალ. ჩოლოყაშვილი...

თავმჯდ. ბ. ორბელიანო! ეგ არ შეეხება საქმეს, აქ წინა კრების ოქმზედა გვაქვს ლაპარაკი და თუ გნებავსთ იმაზე ილაპარაკეთ.

თ. ივ. აფხაზი. ბ. თავმჯდომარევ, გთხოვთ შეიტანოთ წარსულის სხდომის ოქმში, რომ მე ვსთხოვე თავმჯდომარეს მიეცა ზედამხედველისა და გამგეობის წევრებისათვის სრული თავისუფლება და ნება, როცა საჭიროება მოითხოვს და საქმის პირ-დაპირი გარემოება, მიუხედავად რიგისა, წარმოადგინონ ესა, თუ ის ახსნა.

მქ. გაბაშვილი. დღეს მეხუთე დღეა, რაც ჩვენ ვიკრიბებით და ვსჯით ბანკის საქმეებს და ამ ხნის განმავლობაში-კი არ შევუდექით მას, რაც უფრო საჭიროა, ესე იგი მინისტრის ქაღალდი. მე არაფერი არა მაქვს-რა იმის წინააღმდეგ, რომ სხვა ქაღალდებიც წაიკითხონ და განსაჯონ, თუ ჰსურთ არხივიც წაიკითხონ, მაგრამ პირველად-კი მინისტრის ქაღალდი უნდა გავიცნოთ.

თავმჯდ. ექიმო, მაგაზედ ჰქონდა კრებას მსჯელობა და ხელ-ახალი ლაპარაკი ერთსა და იმავეზე—მეტია.

მქ. გაბაშვილი. გთხოვთ მაჩვენოთ ადგილი სად წავიკითხო მინისტრის ქაღალდი და გავიგო რა სწერია; იქნება მეტი დრო არა მქონდეს და მეკი მისი გაგება მსურს.

თავმჯდ. ინებეთ. მობრძანდით ჩემს კაბინეთში და იკითხეთ.

ალ. ჩოლოყაშვილი. მე წედან შემოვიტანე წინადადება, რომელიც ეხებოდა თ. ნ. ორბელიანის სიტყვებს და რადგანაც ეს უკანასკნელი მაშინ აქ, კრებაში, არ იყო, ამისათვის მისის თანადასწრებით ვიმეორებ. თ. ორბელიანს უთქვამს, რომ ჩვენი ბანკი ,,უფსკრულის პირზედ'' არისო. ეს მოყვანილია გაზეთში... (ხმა: რომელ გაზეთში?) იმ გაზეთში, რომელიც ისტამბება ტფილისში და რომელსაც სახელად ,,ტფილისის ლისტოკ''-ი ჰქვიან.

დ. კეზელი. (ყოფილი თანამშრომელი ხსენებულის გაზეთისა.) ჰოოო!..

თ. ალ. ჩოლოყაშვილი. მე არ მესმის რას ნიშნავს ეს ,,ჰოოო'' და ეს-კი ასე არის და, ამის გამო, ადვილად შესაძლებელია, რომ ესვე გარდაბეჭდონ სხვა გაზეთებმაც, მათ შორის სატახტო ქალაქების გაზეთებმაც და ყოველი მათ მიერ ამგვარი განცხადება ცუდს შედეგს მოიტანს ჩვენის გირავნობის ფურცლებისათვის, რომელნიც 15 მილიონამდისა გვაქვს. თუ იტყვიან, რომ არ უთქვამს მაგვვარადო—მაშინ ვითხოვ ეს ყოველგან შესწორდეს და თუ სთქვა—მაშინ გვიჩვენოს ამის საბუთებიც და მეც მომეცეს ნება ამის შესახებ ვრცელი პროტესტი განვაცხადო.

თავმჯდ. დიდის სიამოვნებით, რადგანაც ეგ სწორედ პირდაპირ საქმეს შეეხება.

თ. ნ. ორბელიანი. მეც ისე ვიცი წერა-კითხვა, როგორც თ. ალ. ჩოლოყაშვილმა და როდესაც ვკითხულობდი მინისტრისა და რევიზორის ქაღალდებს, მე იმ დასკვნამდის მივედი, რომ ჩემ მიერ ნახსენები უფსკრული ითხრება საქმეების უკანონოდ წარმოებით; მაგრამ იგივე რევიზია ამბობს, რომ ჩვენის ბანკის წინსვლისა და კეთილდღეობის საქმე ჩვენს უკანონო წესებსაც-კი ვერ შეურყევია. მე ვამბობდი, რომ ჩვენ უკვე ვიცით აზრი სამინისტროსი შესახებ კრების შედგენისა წარმომადგენლობით, აი თუ ეს აზრი შესრულდა, მაშინ დადგება ჩვენი ბანკი „უფსკრულის ნაპირზე“. სხვაფრივ-კი ჩვენი ბანკი ისეთს მკვიდრს საფუძველზეა, რომ არა-რა არ შეარყევს, იმისთანა უწესოებაც-კი, რომელიც აქამდე იყო და არის. გარდა ამისა უნდა ვსთქვა, რომ ზედამხედველი კომიტეტი არის წესდება კოლეგიური; კოლეგიას თავის აზრისა, საქმისა და მოქმედების გამომსახველად თავისი თავმჯდომარე ჰყავს.

თითოეული კოლეგიის წევრი, სანამდის თავს არ დაანებებს სამსახურს, მანამდის, ანუ განსაკუთრებულს აზრს არ გამოსთქვამს ამა, თუ იმ საგნის შესახებ, უნდა თანახმა იყოს დანარჩენ წევრთა კოლეგიისა, უნდა იჯდეს მათთან და არა ხალხში.

თ. ნ. თადეოზის ძე ჩოლოყაშვილი. მგონი 19 ამ თვეს გაიხსნა კრება და დღეს 24-ია. აქ დღეს სხვებიც გვირევიან, მაგრამ მაინც ამ დაწესებულებას „სააზნაურო“ ჰქვიან. ყოველგან კანონით და წესით ხელ-მძღვანელობენ და არც ჩვენ უნდა გადავიდეთ კანონს. აქ-კი არავითარი ჩვენი ღირსების შესადარებელი წეს-რიგი არ არის. (მუსხელოვს) თქვენ ამოურჩევიხართ თავმჯდომარედ კრებისა. ყოველის აქ მომხდარის უწესოების პასუხი თქვენ უნდა გაგვცეთ, რადგან თქვენ უნდა ხელმძღვანელობდეთ კრებას და კანონისა და წესის დარღვევის ნებას არ უნდა აძლევდეთ.

თ ა ვ მ ჯ დ. მე როგორც შემიძლიან ვასრულებ ჩემს თანამდებობას.

დ. კეზელი. თ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი სრულებით მართალსა ბრძანებს. გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, წესის დაცვისათვის უჩვენოთ ადგილი ყველა მოსამსახურე პირთ, მათ შორის თ. ალ. ჩოლოყაშვილს, თორემ გაძლევთ პატიოსანს სიტყვას, რომ მე მოვახდენ უწესოებას და ალ. ჩოლოყაშვილს არ ვათქმევინებ სიტყვას (ხმაურობაა).

თავმჯდ. მე თანახმა ვარ იმ აზრისა, რომ თ. ჩოლოყაშვილი აქ იჯდეს კოლეგიაში, თორემ, თავ. ჩოლოყაშვილო, ერთს სიტყვას არ გათქმევინებთ.

ალ. ჩოლოყაშვილი. ბ. თავმჯდომარევ, მაგ სიტყვებს შემდეგ მე აღარა მრჩება-რა მის მეტი, რომ ვსტოვებ ზედამხედველ კომიტეტის წევრობას და როგორც წევრი კრებისა ვილაპარაკებ და არ ავიკრავ პირს, როცა საჭიროა მსჯელობა, რომ ამგვარად ერთგულად ვემსახურო საქმის ინტერესებს. მე კმაყოფილი ვარ თ. ორბელიანის განმარტებით და გთხოვთ ყოველივე ეს ვრცლად შეიტანოთ სხდომის ოქმში.

თ. ილ. ჭავჭავაძე. თ. ნ. თ. ჩოლოყაშვილმა სთქვა, რომ ჩვენი ღირსება მოითხოვს წეს-რიგის დაცვასო,—მე სრულიად ამის თანახმა ვარ. კეზელმა-კი ის წარმოსთქვა, რომ თუ ჩოლოყაშვილი ზედამხედველის კომიტეტის წევრებთან არ დასვით,—გაძლევთ პატიოსანს სიტყვას, რომ უწესოებას მოვახდენო და ერთს სიტყვასაც არ ვათქმევინებო. მე ამაში ვხედავ, რომ ბ-ნმა კეზელმა დაიჩემა თავმჯდომარეობა და თქვენს უფლებას შეეხო, და თქვენ-კი ამაზე თქვენი საყვედური არ უბრძანეთ.

თავმჯდ. მე გავაჩერე და ძალიან მიკვირს, რომ ასე ახლო ზიხართ ჩემთან და არ გაგიგონიათ.

თ. ილ. ჭავჭავაძე. მე არ გამიგონია; ჩემზე უფრო ახლოს სხედან სხვები თქვენთან, მაგრამ არც იმათ გაუგონიათ და თუ მაინცა და მაინც ბძანებთ, რომ თქვენ გააჩერეთ და შენიშვნა მიეცით კეზელს, მე ჩემი შენიშვნა უკანვე მიმაქვს. (შემდეგ თ. ციციშვილმა სთხოვა კრებას, რომ როგორც კეთილშობილთ შეეფერებათ, ისე მოვიქცეთ, წეს-რიგს ნუ დავშლით და საქმეც მალე გათავდებაო.

უგ. თ. ზ. გრუზინსკი. აქ თხოულობენ რაღაც სურათს, რაღაც სანახავს. ზედამხედველს კომიტეტს ყოველის თავისის აზრის, საქმეებისა და რწმუნების გამოსახატავად ჰყავს თავისი თავმჯდომარე; მე გავცემ ამ კოლეგიის მაგიერ ყველას საჭირო პასუხს; აგრეთვე გამგეობის მხრით ამგვარის პასუხისმგებელი არის მისი თავმჯდომარე. დანარჩენ წევრთ სადაც ჰსურთ—იქ დაჯდებიან, თუნდა ,,რაიოკში'' და იქიდამ დაიცვენ საქმის ინტერესებს, იქიდამ წარმოსთქმენ თავის აზრს; არავის არ შეუძლიან ძალა დაატანოს ვისმე აქა და იქ დაჯექიო და ან ამის აღუსრულებლობისათვის მას ხელი აალებინონ სამსახურზე.

(შემდეგ დაიწყეს თ. ივ. მაჩაბლის მოხსენების კითხვა).

დილის სხდომა დაიხურა ნაშუადღევის სამს საათზედ. კრება გადაიდევა საღამოს 8 საათისათვის.

გრ. აბაშიძე.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მელინის სამინისტროს შედგენამ მეტად გააცხარა რადიკალთა და უკიდურეს პარტიათა ჟურნალ-გაზეთობა. მელინს უძახიან აგენტს ჩარჩებისას, რომელნიც თავისი პირადი ინტერესების გულისათვის მზად არიან საფრანგეთი შიმშილით მოჰკლან. ფორმა მიჰმართა უსაძაგლეს ფრანგს მთელს საფრანგეთშიო და ამით საფლავი გაითხარაო. „ინტრანსი ჟანი“ ამბობს, რომ „სამღებროს მაკიაველმა“, ასე უწოდებს იგი პრეზიდენტს, რამოდენიმე კვირის შემდეგ თავისი წინამორბედის მაგალითს უნდა წახედოსო. ბურჟუას გაზეთი „ჟური“ დღითიდღე უფრო ცხარედ ებყრობა ფორს. უკანასკნელს ნომერში ნათქვამია, ბურჟუამ იმიტომ მიატოვა სამსახური, რომ პრეზიდენტი არ დასთანხმდა კონსტიტუციის პროექტზედ ხელი მოეწერაო. მრავალი გაზეთი სულ სხვა-და-სხვა მიმართულებისა იმ აზრისანი არიან, რომ მიუცილებელია პარლამენტის დათხოვნა. დარწმუნებით ამბობენ, რომ თვით ფორსა და სენატსაც სურს პარლამენტის დათხოვნაო. პროვინციებიდამ ისეთი ამბები მოდის, რომ ჰგავს მთელს მხარეს სურს, კონსტიტუციის გადასინჯვა. ტულონში ყოფილა კრება, რომელზედაც აუარებელი ხალხი დასწრებია და რომელსაც გარდაუწყვეტია უნდა გადასინჯულ იქმნას კონ-

სტიტუცია, რათა მოისპოს სენატიო.

**გერმანია.** ხმები ისმის, რომ გერმანიის მთავრობის წევრებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რომელიც მთავრობის შეცვლის მომასწავებელიაო. ოფიციოზური გაზეთები ამბობენ, რომ თავადი ჰოჰენლოე სამსახურს თავს ანებებს და მის ადგილზედ გრაფ ეილენბურგსა ნიშნავენო. თუმცა საზოგადოდ იმ აზრისანი არიან, რომ ვილჰელმი საქმეთა ამნაირს მდგომარეობაში არ შეელევა ჰოჰენლოესაო.

**ინგლისი.** «ტაიმსის“ პეტერბურგელი კორესპონდენტი ამბობს, რომ რუსეთის მთავრობასა სურს გერატი დაიჭიროსო. ამ საქმისთვის მომზადება იმაში მდგომარეობს, რომ მერვიდამ კუშკუმდის რკინის გზა გაჰყავთ და მერე აქედამ ავღანის საზღვრამდის გაიყვანენ შტოსაო.

მთელი ლონდონი აღელვებულია ტრანსვაალიდამ მოსულის ამბების გამო. იქიდამ იუწყებიან, რომ სამხრეთის აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის მოწინააღმდეგეთ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ამათ შორის 4 ინგლისელიაო. საზოგადოება დარწმუნებულია, თუ ეს გარდაწყვეტილება არ შესცვალეს, ტრანსვაალს მაშინვე ომს გამოუცხადებს ინგლისის მთავრობა, ინგლისელების სისხლს ამოვიღებთ და თვით ტრანსვაალს ინგლისის სამფლობელოს შემოუერთებთო იოჰანესბურგის ბირჟა სთხოვს ლონდონის ბირჟას ყოველი ღონე იხმარეთ, რომ დამნაშავეთ სასჯელი შეუცვალონო.

— კონვენც-გარდენის თეატრში კრება მოხდა, რომელზედაც მარკიზ სოლსბერიმ განაცხადა, რომ სომეხთა საქმეების შესახებ ეხლანდელი მთავრობა უწინდელის სამინისტროს პოლიტიკას მისდევსო, ე. ი. სცდილობს რჩევითა და თანხმობით მოაწყოს საქმეები, რადგან ძალის დატანება არ ისურვა ევროპის სხვა სახელმწიფოებმა. თუ ამ პოლიტიკამ ვერაფერი ნაყოფი მოიტანა, ეს უწინდელის სამინისტროს ბრალია და არა ჩვენიო. რაც შეეხება დონგოლას ექსპედიციას, მთავრობა იმ აზრისაა, რომ იგი სრულიადაც არ შეეხება ინგლისის პირობებს ეგვიპტის შესახებაო.

**კორეა.** სეულიდამ იუწყებიან: მთელს მხარეში საშინლად აღელვებულნი არიან იაპონელთა წინააღმდეგ. იაპონელი ვაჭრები კორეს ნაპირებზედ ძარცვავენ ადგილობრივ მცხოვრებთ, ნებას არ აძლევენ კორეს მცხოვრებთ კორეს წყალში ინადირონ. როგორცა ჰგავს, იაპონელებს ჰსურს შეტაკება მოხდეს იაპონიასა და კორეს შუა, კორეს მცხოვრებნი, როგორც-კი დროს ჩაიგდებენ ხელში, ჰკლავენ იაპონელებთ. იაპონელთა მთავრობა ყოველს მოკლულის თავზედ 5000 იენს თხოულობს, მაგრამ კორეს მთავრობა უარს ამბობს ამაზედ, რადგან სამართლიანად მიაჩნია ასეთი მოქმედება, თვით იაპონელებმა გამოიწვიეს იგიო. იაპონელთა ჯარის კაცთა რიცხვი კიდევ 5000 ალემატება, იგინი ემზადებიან საომრად, თუ ვინიცობაა კორეს საქმეების შესახებ ვერ მორიგდნენ.

**ოსმალეთი.** დეპეშით აუწყებენ „ტანს“, რომ კონსტანტინეპოლში ხმა გავრცელდა, ვითომ პორტას შეეტყოს რუსეთის ელჩისაგან, რომ რუსეთსა და ბულგარიას შორის კავშირია შეკრული, ამ კავშირს სერბიაც მიემხრობაო.

**ეგვიპტე.** ბერლინში იუწყებიან პარისიდამ, რომ ინგლისის მთავრობას უნდა სრულიად თავისუფლად იმოქმედოს ტრანსვაალში და ამისათვის წინადადება მისცა საფრანგეთს ეგვიპტის საქმეების შესახებ შევთანხმდეთო. ინგლისს ისეთი პირობები წარუდგენია, რომ საფრანგეთის მთავრობას შეუძლებლად უნახავს მათი დაკმაყოფილება. ამიტომაც ლორდ დიუფერინი ლონდონში წასულა, რათა ხელახლად მიიღოს დარიგება, როგორ მოიქცეს ამ საქმეში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ალისუბნის ელისაბედ-ნიკოლოზის სამრევლო სკოლის დამაარსებელს, კოლლეჟსკი ასესორს ნიკოლოზ სიმონის ძე ჩიკვაიძეს, რომელმაც ხსენებულ სკოლას ამა მდგომარე წლისათვის გამოუწერა თავისას ხარჯით გაზეთები: „ივერია“, „новое Обозреніе“ და „Кавказское сельс. хозяйс.“ და აგრეთვე ამავე სკოლის წიგნთ-საცავს შემოსწირა ექვსი წიგნი ჟურნალ „მოამბისა“, ყველა წარსულ წლების ნომრები სასულიერო ჟურნალ „მწყემსისა“, 1885 წლის ნომრები გაზეთ „დროებისა“ და სხვა და სხვა წიგნები და წიგნაკები ხუთის მანეთისა.

ალისუბნის ელისაბედ-ნიკოლოზის სამრევლო სკოლის მმართველი მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე.

1896 წ. აპრილის 17 დღესა.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ჭავჭავაძენი. საქართველოს მეფის კონსტანტინეს 2 იანვ. 1726 წლის გუჯარში გიორგი მამუკას ძე ჭავჭავაძე თავადად არის წოდებული.

თავად ჭავჭავაძეთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 თებერვალს 1829 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან თავადნი ჭავჭავაძენი: 1) დავით მერაბის ძე, შვილნი მისნი რამაზ და გრიგოლ; 2) მამუკა მერაბის ძე და შვილი მისი მერაბი; 3) სულხან მერაბის ძე; 4) დიმიტრი, გულბაათ (იგივე პანტელეიმონი), იასონ და სპირიდონ ივანეს ძენი და 5) სიმონ, აგაფონ და ლევან იოსების ძენი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 22 სექტემბერს 1847 წ., 19 იანვარსა და 15 ივნისს 1849 წ., 19 ოქტომბერს 1853 წ., 25 ივნისსა და 2 ივლისს 1858 წ. და 18 იანვარს 1861 წ. ამ გვარს შეუერთდნენ: 1) დავით, მაკარი, გრიგოლ და ივანე რომანოზის ძენი; 2) გიორგი და დიმიტრი სულხანის ძენი; 3) ნიკოლოზ და ზაქარია პანტელეიმონის ძენი (გულბაათისანი) და 4) ალექსანდრე სპირიდონის ძე.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 აპრილი.

**ცარსკოე სელო.** 22 აპრილს ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრეს სასახლეში ჩინეთის საგანგებო საელჩო წარუდგა. ლი-ხუნგ-ჩანგმა ხელმწიფე იმპერატორს თავისს მინდობილებათა ქაღალდები და ბრილიანტებით შემკული ჩინეთის უპირველესი ორდენი გარდასცა. წარუდგა-რა ლი-ხუნგ-ჩანგი აგრეთვე ხელმწიფე იმპერატრიცას, დარბაზში შეიყვანეს საელჩოს დანარჩენი წევრებიც. ლი-ხუნგ-ჩანგმა იგინიც წარუდგინა მათს უდიდებულესობათ.

**პარიჟი.** ქალაქის არჩევანებზედ პარიჟში არჩეულ იქმნენ: 8 რესპუბლიკელი-პროგრესსისტი, 11 კონსერვატორი, 20 სოციალისტი და 15 რადიკალი. 26 ამათგან ხელმეორედ უყრიან კენჭს. ახალი საბჭო ისეთივე იქმნება, როგორიც ძველი. დეპარტამენტში არჩევანებმა მშვიდობიანად ჩაიარეს.

**პოტსდამი.** იმპერატორმა ბულგარიის მთავარს „წითელის არწივის“ ორდენის დიდი ჯვარი და ძეწკვი უძღვნა, ხოლო ბულგარიის მინისტრებს სტოილოვსა და პეტროვს „გვირგვინის“ ორდენი 1-ლის ხარისხისა. თავადი ფერდინანდი კობურგს წავიდა.

**ვენა.** ჩერნოგორიის მთავარი 21 აპრილს ბადენ-ბადენში წავიდა.

**რომი.** მასსოვადამ იუწყებიან: „იტალიის მეომარი ჯარი, რომელიც სენაფეში იმყოფებოდა, სამ ნაწილად გაიყო და მტერს მიჰმართა. პირველი ნაწილი პირდაპირ ადიგრატისაკენ მიდის, მეორე ადისტასაკენ, ხოლო მესამე პირველს მხარს აძლევს, მიმშველად ეყოლება. აბესსინელთა ჯარები ფოკალას მთაზედ არიან დაბანაკებულნი, რომელზედაც ადიგრატისაკენ მიმავალი გზა გადის“.

**მასსოვა.** 20 აპრილს ორმა ადგილობრივმა ბატალიონმა საკმაოდ უშიშარი ადგილი დაიჭირა. 21 აპრილს რაზმი დონგოლას მთის პირდაპირ დაბანაკდა. საღამოთი ხუთმა ბატალიონმა დონგოლას გამაგრებული ადგილი დაიჭირა. მტერმა დიდი წინააღმდეგობა არ გაუწია.

**თეირანი.** მუზაფერ-ედ-დინი ტახტზე თავრიზში ავიდა. შაჰის ნასრ-ედ-დინის გვამი შემურვილ იქმნა. ბრძანება, რომლითაც დროებით სახელმწიფო საქმეების მმართვა შაჰმა დიდს ვეზირს მიანდო, გამოეცხადა პრინცს, მინისტრთ და სხვა მოხელეთ. მუზაფერ-ედ-დინის ტახტზედ ასვლა მღვდელთ-მთავარმა გამოაცხადა მეჩეთში; ამის შემდეგ პრინცებმა გუბერნატორებმა და მინისტრებმა თავისი უქვეშევრდომესი ერთგულება განუცხადეს ახალს შაჰს, რომელმაც ყველას მოწყალე სიტყვით მიჰმართა, უფრო-კი მასსუდა-მირზას, ნასრ-ედ-დინის უფროსს შვილს.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ატყობინებენ, რომ ახალი შაჰი სატახტო ქალაქში ასე ათის დღის შემდგომ მოვაო.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ. ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—110).

ქირავდება
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

დაიბეჭდა ახალი წიგნი
შოთა რუსთაველი
შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ.

განყოფილება პირველი. ა) შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი: რუსთაველის წინა დროის მწერლობა.—ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ.—როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები.—რუსთველის ლექსთა წყობა.—როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს.—რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება.—ვეფხის-ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი, მეფე ვახტანგ VI.—დავით ჩუბინაშვილი.—ილია ჭავჭავაძე.—ბარონ სუტნერი.—მარი ბროსე.—დიმ. ბაქრაძე.—აკაკი წერეთელი.—მურავიოვი.—ნ. გულაკი.—ალ. ხახანაშვილი.—ვაჟა-ფშაველა.—ნიკო მარრი—ნიკო ნიკოლაძე.—ალ. ნანეიშვილი.—დიმ. ყიფიანი.—ჩვენი მოსაზრება.—გრ. ორბელიანი.—გიორგი წერეთელი.—ვახტ. ორბელიანი.—პლატ. იოსელიანი.—ალ. ცაგარელი.—ნ. დ.—ეგ. იოსელიანი.—ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი); ბ) რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ს უ რ ა თ ზ ე. განყოფილება მეორე. ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს თ ხ რ ო ბ ა. განყოფილება მესამე. ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით: ა) ღმერთი, ბ) თამარ დედოფალი, გ) რუსთველის ლოცვა, დ) სიმუხთლე სოფლისა, ე) სიკვდილი, ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი, ზ) ქორწილი, Ⴡ) რუსთაველის იგავ-არაკნი, თ) შაირობა და მგოსნობა, ი) რუსთველის სიბრძნენი და თქმულობანი (სულ რიცხვით 251).

გამოცემა 183 გვერდია, შემკულია სამის სახითა (შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორის ნახატით „რუსთაველის სურათზე“ და თამარ დედოფალი ციხის ძირს და ღირს 40 კაპ.

ახალი წიგნები.

ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა:

ლუკმა პურის ამბავი, ანუ აღწერა კაცის აგებულებისა, თხზულება მასესი, თარგმანი ნ. ავალიშვილის მიერ. ფასი . . 60 კ.

ბავშვების მოვლა, კომბისა, თარგმანი ვასილი მაჩაბლის მიერ ფასი . . . . . . . . . . . . 40 კ.

მაციხვიტია, რომანი ანტ. ფურცელაძისა ფასი . . . . 40 კ.

აბატი პეტრე ხარისჭარაშვილი, ზ.—ჭ—სა ფასი . . 15 კ.

ლექსნი თქმული მ. ბოჭორიძისა, ფასი . . . . . . . 5 კ.

10—10




(50—505—1)

საპოკრეზოლი კელერისა

სითხე დეზინფექციისათვის;—იგი შესდგება კარბოლის სიმჟავისა და ფისის საპნისაგან; განირჩევა კარბოლის სიმჟავისაგან იმითი, რომ უფრო ადვილად გაიხსნება ხოლმე და იმდენად ზვერიც არ სჭირია, ამისათვის დეზინფექცია საპოკრეზოლით შედარებით უფრო იაფადა ჯდება, ვიდრე კარბოლის სიმჟავით.

ხოლო ფისის საპონი ერთი ათად მეტად აძლიერებს კარბოლის სიმჟავის სადეზინფექციო თვისებას.

ჰსპობს ყოველგვარს ცუდს სუნს. ისყიდება ყველგან და ყველა დიდ გაწყობებთან. (3—16—1).